VTB

06.04.11 № 03-2.1-72/1573

საქართველოს ეროვნული ბანკის
ვიცე პრეზიდენტს ბ-ნ ო. ნადარაიას

ასლი საფონდო ბირჟას

მიმდინარე ანგარიშის შესახებ

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს 2009 წლის 25 მაისის N 22 ბრძანების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციონერის ღსს "ბანკი ვეტებე" გადაწყვეტილების საფუძველზე, 2011 წლის 23 მარტს ვადაზე ადრე შეუწყდათ უფლებამოსილება სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ევგენი ალექსანდრეს ძე ნემერინსკის და ალექსანდრე ვალერის ძე იაშნიკს, რომლებიც სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2008 წლის 8 აგვისტოს აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით, იმავდროულად სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: ვასილი ნიკოლაის ძე ტიტოვი და ოლგა კონსტანტინის ასული დერგუნოვა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის დარჩენილი ვადით, რომელთა უფლებამოსილება შეწყდება სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციონერთა ერთპიროვნული გადაწყვეტილების 1.1. პუნქტის თანახმად. 2011 წლის 1 აპრილს სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვასილ ნიკოლაის ძე ტიტოვი, ხოლო სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ოლგა კონსტანტინეს ასული დერგუნოვა.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვასილ ტიტოვი ამ ანგარიშს ხელს არ აწერს, ვინაიდან ამჟამად იგი არ იმყოფება საქართველოში. ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს N 1/2011 სხდომის ოქმი არ არის ხელმოწერილი (გაგზავნილია მოსკოვში ხელმოსაწერად) და მიღებისთანავე წარმოგიდგენთ.

დანართი: სააქციო საზოგადოების "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2011 წლის 23 მარტის აქციონერთა კრების ოქმი და სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი N 1/2011- 8 ფურცლად.
CD დისკი- 1 ცალი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი

ტელეფონი:
+(995) 32-505-505
ფაქსი:

SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.com.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

21759673646211

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

# სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N110286176

რეგისტრაციის თარიღი

**23.03.2011 წ**

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ქ. თბილისი, ორი ათას თერთმეტი წლის ოცდასამი მარტი.
მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #18, 2011 წლის ოცდასამ მარტს დავესწარი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 202906427) გაცხადებულ კაპიტალში აქციათა 96.307157%–ის, შევსებულ კაპიტალში აქციათა 96.307157%–ის მფლობელი აქციონერის – *ღსს* ბანკ ვეტებეს (იურიდიული მისამართი: 190000, ქალაქი სანქტ–პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაიას ქუჩა, სახლი 29, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი: 7702070139) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას და შევადგინე წინამდებარე გადაწყვეტილება. სს „ვითბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერი – ღსს ბანკი ვეტებე წარმოდგენილი იყო სერგეი ცარიოვის (დაბადებული 10.06.1978 წელს რუსეთში, მცხოვრები თბილისში, უზნაძის 37, პირადი # 01092002907, დროებითი ბინადრობის მოწმობა # გ 0004381, გაცემული სრს დიდუბე–ჩუღურეთის სამსახურის მიერ 30.09.2010 წელს) სახით, მინდობილობის საფუძველზე, რომლის რეკვიზიტებია: # 1დ–351, თარიღი: 17.03.2011 წელი, მოქმედების ვადა – 31.03.2011 წლამდე, დადასტურებული ქალაქ მოსკოვის ნოტარიუსის, რ.ვ.რიაბოვის, მიერ. სერგეი ცარიოვის ვინაობა და ქმედუნარიანობა დადგენილია. სერგეი ცარიოვი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით. აქციონერის მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. #14. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა დაიწყო 12.00 საათზე და დამთავრდა 12.30 საათზე. გადაწყვეტილება შედგენილია, დარეგისტრირებულია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში და გაცემულია იმავე დღეს.
გადახდილია სანოტარო საზღაური საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" მე–20 მუხლის საფუძველზე – 150 ლარი, აგრეთვე, დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად – 27 ლარი, ასევე, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" $31^1$ მუხლის მიხედვით – 2 ლარი, სულ – 179 ლარი.

სს"ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერის ღსს ბანკი ვეტებე–ს გადაწყვეტილება

ქ.თბილისი 23 მარტი 2011 წელი

2011 წლის ოცდასამ მარტს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 202906427) გაცხადებულ კაპიტალში აქციათა 96.307157%–ის, შევსებულ კაპიტალში აქციათა 96.307157%–ის მფლობელმა აქციონერმა – *ღსს* ბანკმა ვეტებემ (იურიდიული მისამართი: 190000, ქალაქი სანქტ–პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაიას ქუჩა, სახლი 29, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი: 7702070139) – წარმომადგენელი სერგეი ცარიოვი, მიიღო გადაწყვეტილებები დღის წესრიგის შემდეგ საკითხებზე:

დღის წესრიგი:

1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საკითხი 1: სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

დადგენილება:

1.1 ვადაზე ადრე შეუწყდეთ უფლებამოსილება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ევგენი ალექსანდრეს ძე ნემერინსკის და ალექსანდრე ვალერის ძე იაშნიკს, რომლებიც სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით 08.08.2008 წელს.

1.2. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ვასილი ნიკოლაის ძე ტიტოვი და ოლგა კონსტანტინის ასული დერგუნოვა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის დარჩენილი ვადით, რომელთა უფლებამოსილება შეწყდება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციონერთა ერთპიროვნული გადაწყვეტილების 1.1. პუნქტის თანახმად.

აქციონერის წარმომადგენელი ს.ცარიოვი

Царев Сергей Владимирович

ნოტარიუსი ნ. ჯანხოთელი

**Грузия**
**Нотариальный акт**

**город Тбилиси, двадцать третье марта две тысячи одиннадцатого года**

**Я, нотариус Наргиза Джанхотели, бюро которой расположено по адресу: г. Тбилиси, проспект Руставели № 18, двадцать третьего марта 2011 года присутствовала при процедуре принятия решения ОАО Банком ВТБ (юридический адрес: 190000 город Санк-Петербург, улица Большая Морская, дом 29, ИНН 7702070139) - акционером –владельцем 96.307157% акций в объявленном капитале, 96.307157% акций в заполненном капитале АО «Банк ВТБ (Грузия)» (идентификационный код 202906427) и составила данное решение. ОАО Банк ВТБ было представлено в лице Царева Сергея (10.06.1978 года рождения, место рождения - Россия, прож. по адресу: Тбилиси, ул.Д.Узнадзе № 37, личный № 01092002907, вид на временное жительство № Г 0004381, выданное Дидубийско-Чугуретской службой агентства гражданского реестра 30.09.2010 года), на основании доверенности, № 1д-351, дата – 17.03.2011 г., срок действия – 31.03.2011 г., заверенная нотариусом г.Москвы Рябовым Р.В. Личность и дееспособность Царева Сергея установлены. Царев Сергей полномочен принимать решения. Принятие акционером решения состоялось по адресу: г. Тбилиси, ул.Чантурия № 14. Процедура принятия решения началась в 12.00 ч. и закончилась в 12.30 ч. Решение составлено, зарегистрировано в эл. нотариальном реестре и выдано в тот же день.**

**Уплачена нотариальная пошлина, в соответствии со ст. 20 закона Грузии «О пошлине за совершение нотариальных действий», 150 лари, также НДС, в соответствии с Налоговым Кодексом Грузии, 27 лари, а также сбор за регистрацию нотариального действия в нотариальном реестре, в соответствии со ст. $31^1$ закона Грузии «О пошлине за совершение нотариальных действий», 2 лари, итого 179 лари.**

**Решение акционера АО «Банк ВТБ (Грузия)» - ОАО Банка ВТБ**

**г.Тбилиси** **23 марта 2011 года**

Двадцать третьего марта 2011 года акционер –владелец 96.307157% акций в объявленном капитале, 96.307157% акций в заполненном капитале АО «Банк ВТБ (Грузия)» (идентификационный код 202906427) – ОАО Банк ВТБ (юридический адрес: 190000 город Санк-Петербург, улица Большая Морская, дом 29, ИНН 7702070139) - предъявленный в лице Царева Сергея, принял решения по следующим вопросам повестки дня:

**Повестка дня:**

1. О внесении изменений в состав Наблюдательного совета АО «Банк ВТБ (Грузия)».

**Вопрос 1. О внесении изменений в состав Наблюдательного совета АО «Банк ВТБ (Грузия)».**

**Постановление:**

1.1 Досрочно прекратить полномочия членов Наблюдательного совета АО «Банк ВТБ (Грузия)» Немеринского Евгения Александровича и Яшника Александра Валерьевича, избранных в состав Наблюдательного совета решением годового Общего собрания акционеров АО «Банк ВТБ (Грузия)» от 08.08.2008 года.

1.2. Избрать в состав Наблюдательного совета АО «Банк ВТБ (Грузия)» Титова Василия Николаевича и Дергунову Ольгу Константиновну на оставшийся срок деятельности членов Наблюдательного совета Банка, полномочия которых прекращаются согласно пункту 1.1 настоящего единоличного решения акционера АО «Банк ВТБ (Грузия)».

**Представитель акционера** **С.Царев**

Царев Сергей Владимирович

**Нотариус** 6 - **Н.Джанхотели**

აკინძულია

ფურცლად

ნოტარიუსი:

**სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“**
**სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის**
**ოქმი №1/2011**
(დაუსწრებელი კენჭისყრით)

ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. 14
2011 წლის 1 აპრილი

სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' წესდების 6.12. პუნქტის შესაბამისად სს ,,ვითიბი ბანკ ჯორჯიას'' სამეთვალყურეო საბჭომ (შემდგომ - სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია'' ან ,,ბანკი'') დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო დაუსწრებელი კენჭისყრით.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ დაუსწრებელი კენჭისყრის ბიულეტენების შევსების გზით. ბიულეტენების მიღების დასრულების მომენტისათვის ბიულეტენები წარმოადგინეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგმა წევრებმა:

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: ვ.ნ. ტიტოვი

ო.კ.დერგუნოვა

ვ.ვ. სმაკოვი

ვ.ვ. ვერხოშინსკი

გ.ვ. ლომიძე

დაუსწრებელ კენჭისყრაში მონაწილეობა (სხდომის მუშობაში მონაწილეობა) მიიღო სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს 5 (ხუთი) წევრმა.

დაუსწრებელი კენჭისყრის გაუქმებული ბიულეტენები არ გამოვლინდა.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ წესდების 6.8 პუნქტის შესაბამისად, კვორუმი დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად არის.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.
2. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ თელავის ფილიალის მმართველის უფლებამოსილების შეწყვეტის და მმართველის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

**1.სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.**

გაეცნენ ინფორმაციას სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის აუცილებლობის შესახებ ბანკის წესდების 6.5. პუნქტის შესაბამისად სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს პერსონალური შემადგენლობის შეცვლასთან დაკავშირებით, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ 2011 წლის 23 მარტის აქციონერის ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე .

**მიღებული გადაწყვეტილება:**

1.1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვასილი ნიკოლაის ძე ტიტოვი.

1.2. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნეს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ოლგა კონსტანტინეს ასული დერგუნოვა.

**კენჭისყრის შედეგები:**
გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**2. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ თელავის ფილიალის მმართველის უფლებამოსილების შეწყვეტის და მმართველის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 22 თებერვლის №24/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ფილიალების, განყოფილებების (სერვის–ცენტრების) და წარმომადგენლობების შექმნის შესახებ“ წესების მე–4 მუხლის, მე–4 პუნქტის,

„გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაეცნენ ინფორმაციას სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ თელავის ფილიალის მმართველის უფლებამოსილების შეწყვეტის აუცილებლობის და მმართველის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

**მიღებული გადაწყვეტილება:**

2.1. 2011 წლის 1 აპრილიდან შეუწყდეს თელავის ფილიალის მმართველის უფლებამოსილება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ (თელავის ფილიალის მმართველს) ალექსანდრე ჯუმბერის ძე ჭარბაძეს.

2.2. 2011 წლის 1 აპრილიდან სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ თელავის ფილიალის მმართველის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს გური გიორგის ძე ჭანუკვაძე.

2.3. დაევალოს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ დირექტორატს, საქართველოს ეროვნული ბანკს წარუდგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 სექტემბრის №234 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების ადმინისტრატორების შესაბამისობის კრიტერიუმების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

**კენჭისყრის შედეგები:**
გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

Перевод верен: Э.Ахобадзе

**ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს**
**თავმჯდომარის მოადგილე** **ო.კ.დერგუნოვა**

**ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი** **ნ.დ. კანდელაკი**